ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2020 წლის 06 ნოემბრის რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 ნოემბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

f

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2020 წლის 06 ნოემბრის რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი № 25

დ. ხარაგაული 06 ნოემბერი 2020 წელი

9 აპრილის ქ. #15

სხდომას თავმჯდომარეობდა - საკრებულოს თავმჯდომარე - მანანა ბარბაქაძე.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

ვარლამ ჭიპაშვილი- საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე,

გივი თხელიძე - საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

მალხაზ ფხალაძე - საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

ოთარ ლურსმანაშვილი - საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე,

იუზა კელენჯერიძე - ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები"-ს თავმჯდომარე,

აკაკი ლურსმანაშვილი - ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები"-ს თავმჯდომარე,

დავით კიკნაძე - საკრებულოს განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი:

პეტრე შარიქაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

საკრებულოს აპარატი:

ზაალ ორბელაძე - საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

ნინო თხელიძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

თამარ მაღრაძე - ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის" თანამშრომელი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მ. ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა.

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 ნოემბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკითხთა ნუსხა

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2021 წელს დასაფინანსებელი პროექტების განსაზღვრის შესახებ.

პეტრე შარიქაძე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი დღის წესრიგისა და საკითხთა ნუსხის დამტკიცების თაობაზე.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 8 წევრი:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

მოისმინეს: ხარაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის პეტრე შარიქაძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2021 წელს დასაფინანსებელი პროექტების განსაზღვრის შესახებ (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

მალხაზ ფხალაძემ, რომელმაც კითხვით მიმართა საკითხის მომხსენებელს იმასთან დაკავშირებით, რომ საავტომობილო გზების რეაბილიტაციისას ე. წ. არმირების მეთოდი თუ იქნებოდა გამოყენებული.

პეტრე შარიქაძემ უპასუხა, რომ ამჟამად გზების რეაბილიტაცია არმირების მეთოდით კეთდება.

იუზა კელენჯერიძემ, რომელმაც განაცხადა, რომ სოფელ ღარიხევში ე. წ. ხელიურის უბანში მომავალ წელს აუცილებლად, პირველ რიგში უნდა გაკეთდეს საავტომობილო გზა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, აღნიშნული საკითხის 2020 წლის 09 ნოემბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე.

კენწისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 8 წევრი:

მომხრე-8

წინააღმდეგი-0

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2020 წლის 09 ნოემბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს საკრებულოს 2020 წლის 09 ნოემბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი (თან ერთვის).

ამით ბიუროს რიგგარეშე სხდომის მიერ განსახილველი საკითხი ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 ნოემბრის რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2021 წელს დასაფინანსებელი პროექტების განსაზღვრის შესახებ.

მომხს: პეტრე შარიქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე